,,ChatGPT-ის როლი საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით - გლობალური ტენდენციები და სამომავლო პერსპექტივები''

მარიამ რაზმაძე

აკაკი თაკვარელია

ჯგუფის ნომერი #7

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში. საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მახარაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი საუბრობს ChatGPT-ის როლზე საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით და განიხილავს საკითხის ირგვლივ არსებულ გლობალური ტენდენციებსა და სამომავლო პერსპექტივებს. კვლევითი პროექტის მიზანი იმის დადგენა იყო, თუ რამდენად შეესაბამება ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ჩატბოტის, ChatGPT-ის შესახებ არსებული საზოგადოების წარმოდგენები რეალობას.

სამაგისტრო პროექტის ფარგლებში დასახულ იქნა შემდეგი ამოცენები: იმის დადგენა, თუ რამდენად გარდაუვალი შეიძლება, გახდეს ChatGPT-ის გამოყენება საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით ყოველდღიურ საქმიანობაში; ანალიზი იმისა, თუ რამდენად შეძლებს ChatGPT საზოგადოებასთან ურთერთობის ექსპერტების საქმიანობის გამარტივებას წერით სამუშაოებზე დასახარჯი დროის მინიმალიზაციის მიმართულებით და შეუქმნის თუ არა ის საფრთხეს საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით მომუშავე ექსპერტების ნაწილს. ნაშრომის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს ისიც, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით მომუშავე სპეციალისტთა და ChatGPT-ის მიერ შესრულებულ დავალებებს შორის მსგავსებებისა და განსხვავების წარმოჩენა შეძლოს.

ზემოხსენებული ამოცანების შესასრულებლად, კვლევითი პროექტი იყენებს როგორც პირველად, ისე მეორეულ მონაცემებზე დაფუძნებულ ინფორმაციას. კვლევის ჩასატარებლად კი იყენებს როგორც რაოდენობრივ, ისე - თვისებრივი კვლევის მეთოდებს, მათ შორის: რაოდენობრივ კონტენტ-ანალიზს, თვისებრივ კონტენტ-ანალიზსა და სიღრმისეულ ინტერვიუებს.

კვლევითი ნაშრომი შედგება შემდეგი სტრუქტურული ნაწილებისგან: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევითი პროექტის მეთოდოლოგიური საყრდენი, კვლევითი პროექტის ანგარიში, შედეგების განხილვა და დასკვნა.

ძირითადი საძიებო სიტყვებია: ChatGPT, ხელოვნური ინტელექტი, ჩატბოტი, საზოგადოებასთან ურთიერთობა, პიარი.

Abstract

This master's thesis explores the role of ChatGPT in the field of public relations, examining global trends and future perspectives surrounding this issue. The research project aims to assess the alignment between public perceptions of ChatGPT, an artificial intelligence-based chatbot, and its actual capabilities.

Within the scope of this master's project, several objectives were established. Firstly, to investigate the potential ubiquity of ChatGPT in daily public relations activities. Secondly, to analyze the extent to which ChatGPT can streamline the work of public relations professionals by minimizing the time spent on writing tasks, while also considering any potential threats it may pose to these professionals. Lastly, the study aims to compare and contrast the tasks performed by public relations specialists and ChatGPT.

To achieve these objectives, the research project incorporates primary and secondary data. Both quantitative and qualitative research methods are utilized, including quantitative content analysis, qualitative content analysis, and in-depth interviews.

The structure of the research paper consists of the following sections: introduction, literature review, methodological framework, research findings, discussion of results, and conclusion. Key search terms for this study include: ChatGPT, artificial intelligence, chatbot, public relations, and PR.